იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლის ქალ

გამოცემის მე-9 წელი

№ 5 (123)

მაისი,

1965 წელი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა



მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია გამარჯვების დროშას ალმართავენ რაიხსტაგზე.

გმირთა უკვდავსაყოფად

ქალაქ თბილისში დიდების მონუმენტის აგების შესახებ


იმ მეომართა ხსოვნის უკვდავსაყოფად, რომლებიც დაიღუპნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, და საბჭოთა კავშირის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება აიგოს ქალაქ თბილისში, გმირთა მოედანზე გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ მეომართა დიდების მონუმენტი.

დიდი მხატვრული მნიშვნელობის მონუმენტური ძეგლის შესაქმნელად, რომელიც ახალი საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის დიდ გამარჯვებას, გამოცხადებულია კონკურსი მონუმენტის პროექტზე.

საფუძველი ჩაეყარა

საქართველოს დედაქალაქის ფაბრიკებისა და ქარხნების, დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა 8 მაისს თავი მოიყარეს გმირთა მოედანზე გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა არმიის იმ მეომრების დიდების ძეგლის საძირკვლის ჩაყრას, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიღუპნენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში.

სკვერში დევს გრანიტის ქვა, ზედ ქართულ და რუსულ ენებზე აწერია: **„აქ აღიმართება მეომართა ძეგლი, რომლებიც სამშობლოსათვის ბრძოლებში დაიღუპნენ დიდი სამამულო ომის დროს“.**



ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ადგილას ვახტზე დგას საპატიო ყარაული.

ტრიბუნაზე არიან **მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე.** აქვე არიან სამამულო ომის ვეტერანები, გენერლები, რომლებმაც სახელი გაითქვეს ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში, წარმოების მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

მიტინგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა **ო. ი. ლოლაშვილმა.**

ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და გ. ს. ძოწენიძე ტრიბუნიდან ჩამოვიდნენ, ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ადგილას მივიდნენ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით გვირგვინებით შეამკეს საძირკვლის ქვა.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა **ი. ვეკუამ,** სალოკომოტივო დეპოს მემანქანე **ინსტრუქტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ბოგვერაძემ,** მახარაძის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **გ. წითლიძემ,** უნივერსიტეტის სტუდენტმა **შ. ქველიაშვილ**ყოფილმა პარტიზანმა, საბჭოთა შირის გმირმა **დ. ბაქრაძემ,** ამიერკასიის სამხედრო ოლქის პოლიტმართველოს უფროსმა, სამხედრო ბჭოს წევრმა გენერალ-პოლკოვნ**თ. სტეპჩენკომ.**

მიტინგი დამთავრდა. გაისმის პარული ჰიმნი „ინტერნაციონალი“.

ზეიმო მარშით ჩაიარა სამამულო ომვეტერანთა და თბილისის გარნიზონჯარების კოლონამ.

მიტინგის მონაწილეებმა უამრავ გვირგვინით, თაიგულებით შეამგრანიტის ქვა და ის ადგილი, სადგმირი მეომრების ძეგლი აღიმართ



სურათებზე: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმარე გ. ს. ძოწენიძე (მარცხნიდან), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი და აკაკ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდწევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე გვირგვინებით ამკობენ იმ ადგილს, სადაც აღთება **დიდების მონუმენტი;** მარცხნივ — დიდების მონუმენტის საძირქვა წარწერით.

ჩეხოსლოვაკიის ჯილდო ქართველ მეცნიერს

ფაშისტ დამპყრობლებისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 20 წლისთავთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე, პროფესორი **დ. ლორთქიფანიძე** დააჯილდოვა პირველი ხარისხის ოქროს მედლით **„ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის მეგობრობის და თანამშრომლობის განვითარებაში სახურებისათვის“.**

ამ დღეებში ეს პროფესორ დ. ლორთქიფანიძეს გადასცა კავშირში ჩეხოსლოის საელჩოს პრდივანმა დ. სპრომელიც თბილისში ყოფებოდა.

საიუბილეო მედალი

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა დაწესდეს საიუბილეო მედალი „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვების ოცი წელი“.

საიუბილეო მედლით დაჯილდოვდებიან ყველა სამხედრო მოსამსახურე და თავისუფლად დაქირავებული შემადგენლობის პირები, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში მონაწილეობდნენ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში, დიდი სამამულო ომის პარტიზანები, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მთელი პირადი შემადგენლობა, აგრეთვე სხვა პირები, რომლებიც დაჯილდოებული არიან მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

ირაკლი აბაშიძე

გილოცავთ

გილოცავთ,
როგორც ოცი წლის წინათ,
მაისის ზეიმს,
მაისის ბრწყინვას!..
დიდება —
ვისაც ბაქანთან სძინავს,
დიდება —
ვისაც ყირიმში სძინავს!

მრავალი ოცი,
მრავალი ასი,
კვლავ გაგვითენდეს
მშვიდობის წელი,
ჩვენ ვიცით მისი
ნამდვილი ფასი,
კვლავ ვიყოთ მისი
ნამდვილი მცველი...

ავწიოთ უკვდავ
მშვიდობის თასი,
მრავალი ოცი,
მრავალი ასი!

გეიმი საქართველოში

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

◆

რაც უფრო გვაშორებს ისტორია დიდი სამამულო ომის მრისხანე წლებს, მით უფრო მკვეთრად წარმოგვიდგება საბჭოთა ხალხის უკვდავი გმირობის სიდიადე. ფაშიზმის განადგურების 20 წლისთავის ზეიმი იქცა დიდი სამამულო ომის გმირთა, საბჭოთა ზურგის მშრომელთა საყოველთაო-სახალხო პატივისცემად, სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობილების დიად უპირატესობათა ახალ დემონსტრაციად.

ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად საქართველოს მშრომელებმა ზეიმით აღნიშნეს მსოფლიო-ისტორიული თარიღი. ეს გამოვლინდა დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც გაიმართა თბილისის სპორტის სასახლეში.

საზეიმოდ მორთულ სასახლეში შეიკრიბა რესპუბლიკის დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილების 8 ათასზე მეტი წარმომადგენელი.

სცენის სიღრმეში მოჩანს საბჭოთა სახელმწიფოს ფუძემდებლის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა გენიალური წელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ბიუსტი. დიდ ტრიბუნაზე მოჩანს საბჭოთა კავშირის გერბი. აქვეა ღირსშესანიშნავი ციფრები: 1945-1965. შენობის თაღქვეშ მრავალ ენაზე წარწერილია სიტყვა „მშვიდობა“. კედლებზე არის სსრ კავშირის საბრძოლო ორდენები, რომლებითაც დიდი სამამულო ომის წლებში აღნიშნავდნენ სამშობლოს ერთგული შვილების მამაცობასა და გმირობას. სცენის პირდაპირ გაზაფხულის წითელი ყვავილების ფონზე აღმართულია განმათავისუფლებელი მეომრის მონუმენტური ფიგურა. გმირ საბჭოთა ჯარისკაცს ცალ ხელში მრისხანე, მძლეთამძლე მახვილი უპყრია, მეორე ხელით კი მკერდში იკრავს ბავშვს.

ფიგურის ქვეშ წარწერაა: „დიდება გმირებს!“

სცენაზე წითელ დროშებთან გარინდულა საპატიო ყარაული. საპატიო ყარაულში დგანან საუკეთესო მეომრები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ნაწილების საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი მუშაკები: მ. ი. გუჩუა, ვ. პ. მჟავანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტუ-რუა, ა. ტ. სტუჩენკო, რ. ი. ფრუნიძე, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ე. ჭერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე, სახელგან-



ზეიმზე: გამარჯვების პარადი მოსკოვში, წითელ მოედანზე. 1945 წლის 24 ივნისს. ძირს ყრია დამარცხებული ფაშისტური არმიის დროშები.

თქმული მეომრები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, საბჭოთა კავშირის გმირები და სოციალისტური შრომის გმირები, ძველი ბოლშევიკები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები, წარმოების მოწინავენი.

სხდომას სხნის პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ი. ლოლაშვილი.

საზეიმოდ ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მოხსენებას კითხულობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

მომხსენებელი წინადადებას იძლევა პატივი სცენ საბჭოთა არმიის მეომრებს, რომლებიც დაიღუპნენ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში, პატივი სცენ სახელოვანი საბჭოთა პარტიზანების ხსოვნას, რომლებიც დაიღუპნენ მტრის ზურგში, იმ საბჭოთა ადამიანების ხსოვნას, რომლებიც აწამეს და დახოცეს ჰიტლერელებმა დიდი სამამულო ომის წლებში. შეკრებილნი ფეხზე ადგომითა და წუთიერი დუმილით პატივს სცემენ დაღუპულ გმირთა ხსოვნას, მდუმარედ ხრიან თავს თითქოს იმათ საფლავებთან, ვინც სიცოცხლე გასწირა სამშობლოსათვის, ვინც სამშობლოს ერთგული იყო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

დიადი გამარჯვება, ამბობს ამხ. მჟავანაძე, მთელ პროგრესულ კაცობრიობას მიაჩნია მსოფლიოს ყველა ადამიანის მშვიდობისა და ბედნიერების ზეიმად. როგორც უნდა ხელყონ მშვიდობა, ეს გამარჯვებას ვერ მოუტანს იმპერიალისტურ ბანაკს, ამერიკის სამხედრო ხროვას, რომელიც მსოფლიო ბატონობის პრეტენზიას აცხადებს. მშვიდობის ძალები უძლეველია! ამას მოწმობს ისტორიის გაკვეთილები, რომლებსაც არ შეიძლება არ გავუწიოთ ანგარიში...

სპორტის სასახლის თაღებქვეშ დიდხანს არ წყდება მქუხარე ტაში. შეკრებილნი უდიდესი აღმაფრენით უსურვებენ გამარჯვებას დიდ ლენინურ პარტიას, სამშობლოს გმირ დამცველებს, საბჭოთა ხალხს, რომლებმაც შეითვისეს ომის ვეტერანთა საუკეთესო ტრადიციები და გაამრავლეს ისინი ყოველდღიურ შრომაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

თამჟდომარე დიდ სამამულო ომში გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს.

ფანფარები აუწყებენ დამსწრეთ, რომ იწყება დიდი საზეიმო კონცერტი. იგი გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, მდიდარი შინაარსით, იწვევს საბჭოთა სამშობლოსათვის, ჩვენი ხალხისათვის სიამაყის გრძნობას.

მიენიჭათ...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტებზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა 18 საბჭოთა მეომარს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 6 მაისის ბრძანებულებით დიდი სამამულო ომის წლებში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობის გამოჩენისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულია სამამულო ომის 31.399 მონაწილე.

მოსკოვი — გმირი ქალაქი

სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის, მასობრივი გმირობისათვის, მამაცობისა და სიმტკიცისათვის, რაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დედაქალაქის მოსკოვის მშრომელებმა გამოიჩინეს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავის აღსანიშნავად ქალაქ მოსკოვს მიენიჭა „გმირი ქალაქის“ საპატიო წოდება ლენინის ორდენისა და მედალის „ოქროს ვარსკვლავი“ გადაცემით.



ომის ვეტერანთა პატივსაცემად

თბილისის პირველი მაისის რაიონის მშრომელებმა სამამულო ომის მონაწილეებს გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. აქ იყვნენ გენერალ-მაიორები კ. ჯახუა და ი. სილაგაძე, საბჭოთა კავშირის გმირები ბ. ზუმბულიძე, ი. გვენცაძე, ი. ინდრიაკოვი, პარტიზანული მოძრაობის მონაწილე უკრაინაში ი. რეხვიაშვილი, ოფიცრები გ. პერცევი, ლ. გოგიტიშვილი, დ. მაჭარაძე, მედიცინის სამსახურის მაიორი-ქალი კ. ხოჭოლავა.

* * *

დედაქალაქის კიროვის სახელობის რაიონის ახალგაზრდობამ შეხვედრა მოუწყო დიდი სამამულო ომის მონაწილე ჟურნალისტებს — ა. კოკილაშვილს და პ. შამათავას.

ა. კოკილაშვილის და პ. შამათავას წიგნები და ნარკვევები საინტერესოდ მოუთხრობენ მკითხველებს სამამულო ომის ქართველ გმირებზე. მათ შეხვედრის მონაწილეებს გაუზიარეს დაუვიწყარი დღეების მოგონებანი, გააცნეს თავიანთი შემოქმედებითი გეგმები.

* * *

თბილისის ოფიცერთა სახლში შედგა სსრ კავშირის ომის ვეტერანთა საქალაქო შეკრება. იგი გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ლოლაშვილმა. დამსწრეებმა წამიერი დუმილით პატივი სცეს სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნას.

შეკრების ოფიციალური ნაწილის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი.

* * *

იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო სამამულო ომის მონაწილე პედაგოგებსა და სახალხო განათლების დარგის მუშაკებს.

მოგონებებით გამოვიდნენ მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკური საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. ლონტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქტორი ს. ტონია, მომარაგების სამმართველოს უფროსი ს. არველაძე, 57-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ა. არჩაია და პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ვ. მახარაძე.

იტალიის

ეს ადამიანები იბრძოდნენ იმ ქვეყანაში, რომელსაც მანამდე მხოლოდ გეოგრაფიის სახელმძღვანელოთი იცნობდნენ. ამ ქვეყნის ცა განაცვიფრებლად ლურჯია. ღია ლურჯი ფერისაა ზღვაც, რომელიც სასიამოვნო კონტრასტს ქმნის ზეთისხილისა და ფორთოხლის პლანტაციებით დამშვენებულ ნაპირებთან.

აქ, იტალიის მადლიან მიწაზე, დაიბადა ლეგენდარული გარიბალდი, რომელმაც ტირანიისა და ძალმომრეობის ეპოქაში თავისუფლების მოგზაურზე ცეცხლი დაანთო.

...ეს ადამიანებიც იტალიელი პარტიზანების მსგავსად, თავიანთ თავს უბრალოდ გარიბალდელებს უწოდებდნენ. ამ გამოთქმაში იყო რაღაც მეტად საგულისხმო და ამაღელვებელი.

მას შემდეგ მრავალმა წელმა განვლო. მაგრამ იტალიელთა მეხსიერებაში დღემდე ცოცხლობს იმ კეთილშობილი, თავდადებული ადამიანების სახელები, რომლებიც მათთვის უცხო ქვეყანაში იბრძოდნენ ფაშისტური ურჩხულის გასანადგურებლად.

. . .

დაუკვირდით ამ ფოტოსურათს (№ 1). მასზე ახალგაზრდა მამაკაცია გამოსახული. ეს ფოტოსურათი შორეული იტალიიდან მივიღეთ — გარიბალდის 114-ე ბრიგადის ყოფილი კომისარი დინო კორე (სეკონდო კორე) ეძებს ამ ჰაბუკს — ქართველ პარტიზანს, სახელად სერჟოს. „იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მეოცე წლისთავთან დაკავშირებით, — წერს დინო კორე, — გთხოვთ, გადაეცეთ სერჟოს გულწრფელი, ძმური სალამი როგორც ჩემი, ისე ჩვენი საერთო მეგობრის — იტალიელი პარტიზანი ქალის სახელით“.

ეს სურათი ქართველმა პარტიზანმა 1945 წლის მაისში უსახსოვრა დინო კორეს სამშობლოში დაბრუნების წინ. სამწუხაროდ, თავისი მეგობრის გვარი დინო კორეს არ ახსოვს, სურათზე კი გაურკვეველი ხელით შესრულებული დაშმოთავრებელი მინაწერია: „ჩხვირ...“

ჩვენ მაინც შევძელით მიგვეკვლია სერჟოსათვის. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია ნოე გოლგის-ძე კუბლაშვილმა, რომელიც თავად იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე გახლავთ. სახელგანთქმული „გრანდე კოლია“, „რუსი კოლია“, როგორც იტალიელები ეძახდნენ ნოე კუბლაშვილს, პარტიზანთა რამდენიმე ჯგუფს მეთაურობდა. შიშით დამფრთხალმა ჰიტლერელებმა, რომლებსაც თავზარს სცემდა „გრანდე კოლიას“ სახელის გაგონებაც, 80 ათასი ლირა აღუთქვეს ჯილდოდ იმას, ვინც ნოე კუბლაშვილს შეიპყრობდა ან გასცემდა. მაგრამ მტრის ყველა ცდა ამაო აღმოჩნდა. იტალიელთა შორის ერთი კაციც არ მოიძებნა ისეთი, რომელიც ამ სულმდაბალ საქმეს ჩაიდენდა...

როგორც კი ნოე კუბლაშვილმა ფოტოსურათს დახედა, მან მაშინვე გვითხრა: „ეს სერგო ჩხვირკაია. — იტალიაში ის ჩემს რაზმში იბრძოდა. ერთად ვმონაწილეობდით სხვადასხვა საბრძოლო ოპერაციებში, — ავაფეთქეთ ტურინის აეროდრომი და რივოლის საავიაციო ქარხანა, გავათავისუფლეთ იტალიის მთელი რიგი ქალაქები“.

ნოე კუბლაშვილმა გვიამბო, რომ ამჟამად სერგო ჩხვირკაია ოჩამჩირეში ცხოვრობს და სავაჭრო სისტემაში მუშაობს. სერგოს მეუღლე ეპიდემიოლოგი გახლავთ. პარტიზანული ბრძოლების ვეტერანს სამი შვილი ჰყავს — ერთი ვაჟი და ორი ქალიშვილი, უფროსი რიტა უკვე მეათე კლასს მოსწავლეა, უმცროსი ვაჟი კი წელს პირველად მიუჯდა სკოლის მერხს.

მოგვიანებით ჩვენ თვითონ სერგო ჩხვირკაია მოვინახულეთ. უსიტყვოდ გავუწოდეთ იტალიიდან გამოგზავნილი ფოტოსურათი. სერგო ჩხვირკაია დიდხანს დაჰყურებდა სურათს. რომელიც მას თავის მოსუსენარ, ხიფათითა და ფათერაკით აღსავსე სიჭაბუკეს აგონებდა.

ეს ფოტოსურათი, — გვიამბო სერგო ჩხვირკაიამ, ჩემს მეგობარ ჯოვანის ვაჩუქე და ზედ წავაწერე: „ძვირფას მეგობარ-თანაპოლკელს სერჟოსაგან“. ახლაც თვალწინ მიდგას ჯოვანი, — ყოველთვის მხიარული, გულითადი, კაცური კაცი... ის კარგი ადამიანი იყო, მამაცი და უშიშარი მეომარი. ხშირად გვიბრძოლია ერთმანეთის მხარდამხარ. როცა ბრძოლაში მძიმედ დავიჭერი, მხოლოდ ჯოვანისა და მისი მომავალი მეუღლის მეგობრულმა დახმარებამ გადამარჩინა.

ჯოვანის უყვარდა ჩვენი სამშობლო. მე მას ქართულ ენას ვასწავლიდი. ჯოვანი ხშირად მეუბნებოდა: „არასდროს არ დამავიწყდები. ერთ მშვენიერ დღეს აუცილებლად გესტუმრებით საქართველოში“. ახლა კი ჯოვანი საქართველოდან ძმურ სალამს ვუთვლი, ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას ვუსურვებ ჩემს ყოფილ იტალიელ თანამებრძოლებს: როზეს, ფელიჩიოს, ნეგროს, ვიტორიოს...

იტალიიდან კიდევ ერთი სურათი (№ 2) მოგვივიდა. აქ ალბეჭდილია ქალიშვილი ორ ჰაბუკთან ერთად. ეს ახალგაზრდა მეომრები ჩვენი თანამემამულეები — ილო და გრიშაა (როგორც დანარჩენ ფოტოებზე, აქაც მითითებული არ არის გვარები), ხოლო ქალიშვილი მეკავშირე-პარტიზანი ვირიამია, მეტსახელად კატიუშა. ვირიამი გვთხოვს მოვძებნოთ ეს ქართველები, რომელთა მხარდამხარ იგი იბრძოდა. ამ ადამიანების ნახვა ჩვენ ყოფილ პარტიზანი-გარიბალდელების დახმარებით შევძელით. მათ გვითხრეს, რომ ილო ოგივე ილია ლაბაძეა, რომელიც ამჟამად ხაშურში ცხოვრობს. ასეც აღმოჩნდა. ილიამ თავისი მეგობარი. — როგორც ჩანს, კატიუშას ხელები არევია. იგი გრიშა ვახტანგ ფანიაშვილია. სამამულო დაწყებისთანავე იგი გორიდან ფრონტზე და ახლაც მშობლიურ ქალაქში ცხოვრობს.

ილია, ვახტანგი და კიდევ ერთი ქართველი გარიბალდელი, — ხალხის არტაშ ჯაფარაშვილი იტალიის ნუყრელი მეგობრები იყვნენ. ერთად გაიქცნენ ტყვეობიდან, ერთად ჩაეწერნენ პარტიზანელთა რიგებში, ერთად ანადგურებდნენ საბრძოლო მატერიალს.

როცა იტალიის წინააღმდეგობის ძრაობის ვეტერანებს კატიუშაზე მოვუგდეთ სიტყვა, მათ გვითხრეს:

— კარგად გვახსოვს ჩვენი კატიუშა. არ ვივიწყებთ, ხშირად ვიგონებთ ღვიძლი დასავით გვიყვარდა.

კატიუშამ ზემოთ წერეთის კარადა მშობლიური ლომბარდიის ლი კუთხე, ბილიკი და გზაჯვარედინი პარტიზანებს იგი ფასდაუდებელ სახორს უწევდა. სახელიც შესანიშნავად უხდებოდა — კატიუშა... ეს სიმღერა და პოეტური ბუნების ქალი შესანიშნავად უხდებოდა „ზაულ“ საქმესაც — ეხმარებოდა პარტიზანებს ხიდებისა და მტრის მატერიალის დროულ ეშელონების აფეთქებაში.

ქართველმა გარიბალდელებმა ასეთი შემთხვევაც გაიხსენეს. 1944 წლის შემოდგომის მიწურულში რაიონის — ოსოლის მიდამოებში ბრიგადა „ვალტანდე მატერიალის ალყაში მოიმწყვდია. მძიმე და ძაბუნი დრო. მთების მახეში კატიუშას ისინი თითაც არ მიუტოვებია. ერთხელ რტიზანთა ჯგუფი, რომელსაც ხაბელაშვილი მეთაურობდა, დავალების შესრულების მტრის გარემოცვაში აღმოჩნდა. უშამ ითავა ალყიდან პარტიზანების გზით გამოყვანა. ძურად უთხრა — „ჩვენ შეიძლება დავკონ, შენ ქალი ხარ, სახლში დარჩი, ჩვენ თვითონ დავალწევთ თავს“. კატიუშამ უარი განაცხადა. ჯიუტად გაიქნია თავი — დაღუპვა გვწერია, მეც თქვენთან ერთად მოვკვდები“. შემდეგ პარტიზანების ბილიკით გაუძღვა და ხიფათს გადაარჩინა“.

იტალიელ ქალიშვილთან ერთად ავისუფლებდნენ ქართველი გარიბალდელები (სურათი № 3) ვერონის პალანცას, დომოდოსოლას. მცხოვრები მათ სიხარულით ხვდებოდნენ და გულში იკრავდნენ. მასპინძელთა ტრადიციული მისალმება „ვივა“ ხიან ქართულ „გამარჯობას“ ენაც ეზიარებოდა.

...ომი იტალიის მრავალტანჯულ წაზე მოულოდნელად არ დამთავრებულა. თავისუფლება მრავალი იტალიელი პარტიზანის სიცოცხლის ფასად იქნა მოპოვებული. თვალსაჩინო სტოვებდნენ შორეულ იტალიას უშიშარი ქართველი პარტიზანები, რომლებმაც მზისა და ლაჟვარდეულის ქვეყანაში თავისი მეორე სამშობლო ჰპოვეს. მრავალ ჰიტლერელთა ლოთს დაუბნელეს მზე ქართველ პარტიზანებმა. იტალიელ ძმებთან ერთად იზიარეს მათ 1945 წლის მაისის დღესასწაულის გამარჯვებაც. მაგრამ მათ დიდ ხანს არულს ნაწილობრივ ჩრდილიც დაადეს ფინი: ქართველმა პარტიზანებმა იტალიის თავისუფლებისათვის ბრძოლის ორი შესანიშნავი თანამემამულე დაკარგეს: მეთაური ძურა ხაბელაშვილი და კარლო ხურციძე... ბიენის ფაშისტებით გარშემორტყმულ ლომ ტყვედ ჩავარდნას სიკვდილით ჯობინა. მისი გვამი ფაშიტებმა ვერაბანიის მუნიციპალიტეტის შესახლობლად დატოვეს.

ქართველ პარტიზანთა რიგებში ძოდა შალვა მუნჯიშვილიც, — გადა „ვალტერ ფონტანას“ ლეგენდარული კომიკარი. გარიბალდელები მას სალვატორეს ეძახდნენ

პოეტი, ჯარისკაცი



მირზა გელოვანის შემოქმედებითი ბიოგრაფია 1935 წელს იწყება. ამ წელს იგი თავის პირველ ლექსებს აქვეყნებს. მირზა გელოვანის პირველი ლექსები იმ ხანებში ახლად დაარსებულ ჟურნალ „ჩვენ თაობაში“ გამოქვეყნდა, შემდეგ კი მისი ნაწერები სხვა ჟურნალ-გაზეთებშიც იბეჭდებოდა. მირზას ლექსებმა თავიდანვე მკითხველთა მოწონება დაიმსახურა: იგი მიღებულ იქნა მწერალთა კავშირის წევრად, ხოლო მწერალთა კლუბში 1939 წელს მოწყობილმა მისმა ლიტერატურულმა საღამომ ნათელყო, თუ რა დიდი სიყვარული მოეპოვებინა მკითხველებში ხალასი პოეტური ნიჭით დაჯილდოებულ ახალგაზრდას სულ რაღაც სამიოდე წლის მანძილზე.

1939 წლის ნოემბრის ერთ სუსხიან დილას იგი გაუყვა დიდ გზას მოახლოებული გრიგალებისაკენ, საიდანაც აღარ დაბრუნებულა. „მინდა ჯარისკაცის ცხოვრება განვიცადო და, ვინ იცის, დიდი გრიგალის მონაწილეც გავხდე. თუ ცოცხალი დავბრუნდი, მაშინ ჩემს ლექსებს მეტი სიმართლე და გამბედაობა ექნება“, — ამბობდა ძირზა.

მშობლებისა და დებისათვის გამოგზავნილ ბარათში 1941 წელს იგი წერს: „ომი დაიწყო, ვიცოდი, რომ დაიწყებოდა... გკვიროდეთ, ჩემო ძვირფასებო: თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ სიკვდილი მიწერია ამ ომში, ძალიან ძვირად დავუსვამ მტერს სიცოცხლეს ჩემსას, დაე ნუ შეგრცხვებათ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უდიდესი სიმშვიდე. ჩემში ცოტნე დადიანის სულია და ნებისყოფა, და თქვენ შეგიძლიათ ამაყად თქვათ, რომ მე ვიცავ სამშობლოს, რათა მომავალი თაობები იყვნენ ჯანსაღნი, ბედნიერნი და ძლიერნი, მე საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მიყვარს ჩემი სამშობლო. ის, ყველაფრის მიუხედავად, ცოცხალია და მისი შვილების დაძახილი აღვიძებს გრიგალებს... ეს არის ყველაზე დიდი ომი, რაც კი ყოფილა დედამიწის ზურგზე. არც ჰანიბალის, არც მაკედონელის, არც ნაპოლეონის ომები არ შედრებიან ამ ომს სიდიდით... არც სამი ისეთი დიდი გული ყოფილა ქვეყნად, როგორიც მე მაქვს ახლა, როგორიც აქვთ ჩემს ამხანაგებს“.

მძიმე, სისხლიან გზაზე მიდიოდა პოეტი-მეომარი საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად და ათავისუფლებდა უკრაინის და ბელორუსიის ქალაქებსა და სოფლებს.

1944 წლის ზაფხულში შეწყდა მირზას სიცოცხლე.

...ბელორუსიაში, მდინარე დასავლეთ დვინასთან მდებარე სოფელ სანიკის მახლობლად, ძმათა სასაფლაოზე დგას ობელისკი, რომელზეც წერია: „სამარადისო დიდება ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაცემულ გმირებს (1941-1945). აქ დაკრძალულნი არიან უფროსი ლეიტენანტი მირზა გედეონის-ძე გელოვანი, გვარდიის სერჟანტი ვაუტ იზმაილოვი და სხვები“.

მირზამ აღასრულა თავისი ლექსად ნათქვამი ფიცი. იგი მართლაც უყოყმანოდ შეეწირა სამშობლოს.

ფიცი

ქართლის მიწავ, უტკბილესო,
საყვარელო ქართლის მიწავ,
ჩვენს ცხრათვალა დიად მზეს და
ჩვენს ალისფერ დროშას ვფიცავ,
ამ მწვანე ხეს, ძელებზე გაზრდილს,
ამ ლოდების ხავსს და ნაჟურს,
კავკასიონს, ცამდე აწვდილს,
შავზაბადას, გულდაგანგულს...
ვფიცავ სვანის ნათქვამ ლილეს,
ვფიცავ ჩემი ლექსის ნინეს! —
თუ ოდესმე, როგორც ძველათ,
თუ ცას ვინმე შეგვეცილოს...
წმიდა ვაღის მოსახდელად
უყოყმანოდ შევეწირო.
მოვკვდე ისე ღიმილმჩენი,
ვით კვდებოდნენ გმირნი ძველათ,
რომ, სამშობლოვ, საქმე ჩემი
დარჩეს შენდა სადღეგრძელოდ.

ᲡᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ

რას სწერდა შალვა მუნჯიშვილს გარიბალდელთა შენაერთების მეთაური ალექსანდრე ჩამეი: „ძვირფასო სალვატორე! იტალიაში ყოველწლიურად ფართოდ აღვნიშნავთ ანტიფაშისტური წინააღმდეგობის თარიღს. მიტინგებზე, საზეიმო შეკრებაზე იტალიელ პატრიოტებთან ერთად ჩვენ ყოველთვის სიამაყით ვახსენებთ შენს სახელს. იტალიელებმა ახსოვხართ და უყვარხართ, სალვატორე, რადგანაც შენი ლეგენდარული გმირობა იტალიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოხმარდა“.

მუნჯიშვილის ბრიგადა, რომელიც გმირი პარტიზანის — ვალტერ ფონტანას სახელს ატარებდა, უძლეველი რაზმის რეპუტაციით სარგებლობდა. „ვალტერ ფონტანა“ წინ მიიწევს, „ვალტერ ფონტანამ“ არ იცის, რა არის დაძარცხება“, — მღეროდნენ პარტიზანები თავიანთ ბრიგადაზე.

ბელმოფოლის ცნობილ ბრძოლაში ალექსანდრე ჩამეის რაზმმა მძიმე დამარცხება აგება გერმანელებისა და იტალიელი ფაშისტების რეგულარულ ჯარება.

„ბელმოფოლი — უძველესი მწვერვალია, —
— პარტიზანთა დიდების ძეგლი,
ჩვენ სიკვდილს ვუყურებთ თვალებში,
მაგრამ მტერს არ გავახარებთ“.

ასეთი სიმღერა შექმნეს გარიბალდელებმა ბელმოფოლთან გამარჯვების შემდეგ.

— ალექსანდრე ჩამეი იყო მამაცი, შეუდრეკელი მეთაური, — იგონებს შალვა მუნჯიშვილი, — ბელმოფოლთან გამარჯვებისათვის მან იტალიის უმაღლესი ჯილდო „ოქროს მედალი“ დაიმსახურა.

„ვალტერ ფონტანას“ კომისარს შალვა მუნჯიშვილსა და გარიბალდელთა შენაერთების მეთაურს ალექსანდრე ჩამეის გულითადი, მტკიცე პარტიზანული მეგობრობა აკავშირებდათ.

ჩვენს წინ არის შალვა ლორთქიფანიძის სახელოვანი საბრძოლო გზის დოკუმენტები, რომლებიც შორეული იტალიიდან მიიღო სალვატორემ. იტალიელი თანამებრძოლები თბილ წერილებს უგზავნიან საყვარელ კომისარს, რომელიც მათ ხსოვნაში სამარადისოდ დარჩა, როგორც სიმამაცის, ვაჟკაცური თავგანწირვისა და ხალასი ადამიანური ბუნების მქონე მებრძოლად.

ახლაც სიყვარულით ინახავს შალვა მუნჯიშვილი თავის პარტიზანულ მოწმობას, რომელსაც მკრთალად აწერია № 219780. აი რამდენიმე სტრიქონი ამ უნიკალური მოწმობიდან: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავრობათა და ხალხთა სახელით მადლობას ვუცხადებთ სალვატორე მუნჯიშვილს, რომელიც პარტიზანთა რიგებში მტერს ებრძოდა. ეს მოწმობა უფლებას აძლევს მას იწოდებოდეს განახლებული იტალიის პარტიზანად, რომელიც ღირებისა და თავისუფლებისათვის იბრძოდა“. ამ დოკუმენტის დედანი ინახება მურმანსკის ოლქის პარტიულ არქივში. შალვა მუნჯიშვილი იმიერპოლარეთის ამ ქალაქში ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. ყოფილი კომისარი პროფესიით მშენებელია. ვეტერანმა შაშხანა მშენებლის საჭრეთელით შეცვალა.

შალვას არ ავიწყდება თანამემამულეები, ვინც მასთან ერთად იბრძოდა იტალიაში. წლების მანძილზე არ ენახა სალვატორეს თავისი ყოფილი თანამებრძოლები: ვლადიმერ გაბისონია, დავით იზორია, მიხეილ გამყრელიძე, ვლადიმერ ტაბატაძე. და აი აპრილში, როცა იტალიამ ზეიმით აღნიშნა წინააღმდეგობის მოძრაობის 20 წლისთავი, თბილისში თავი მოიყარეს ყოფილმა ქართველმა პარტიზანებმა — წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილეებმა. ამ შეკრებას დაესწრო შალვა მუნჯიშვილიც, რომელიც შორეული მურმანსკიდან ჩამოვიდა.

ეს იყო ამაღელვებელი, დაუვიწყარი შეხვედრა, რომელიც გმირი პარტიზანების უშუალო მოგონებებმა დაამშვენა...

...იტალია — მზისა და ვარდების მხარე... რამდენმა საბჭოთა მებრძოლმა შეწირა სიცოცხლე მის თავისუფლებას, რამდენი სამშო საფლავი გაითხარა იტალიის მრავალტანჯულ მიწაზე. მათი სახელი სამუდამოდ დარჩება იტალიელი ხალხის ხსოვნაში. სწორედ ამის შესახებ სწერდა ნოე კუბლაშვილს იტალიელი კომუნისტი ალექსანდრო ლუკარელი: „გვერწმუნეთ, რომ იტალიელი პარტიზანები არასოდეს არ დაივიწყებენ იმ უზადო და ჰეშმარიტად გმირულ წვლილს, რომელიც გარიბალდის ბრიგადებში გაერთიანებულმა საბჭოთა მეომრებმა გაიღეს იტალიის თავისუფლებისათვის“.

ყველა გარიბალდელი პარტიზანის მისწრაფება და სურვილი გამოხატა ნოე კუბლაშვილმა თავის საპასუხო წერილში: „ჩვენ გვახსოვს იტალია. გვახსოვს ყველანი, ვინც ჩვენს მხარდამხარ იბრძოდა. ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, შევხვდებით, როგორც ნამდვილი მეგობრები“.

ნ. მდივანი,
მ. კარსანიძე.



სურათი პირველი.



სურათი მეორე.



სურათი მესამე.

ᲛᲘᲡᲘ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ ᲮᲕᲔᲜᲘᲐ

სოფლის შესასვლელთან ცადაწვდილ ნაძვებს შორის ამაყად აღმართულა ლამაზადაწამოსხმული ქვის ჯარისკაცი. ჰორიზონტს სწვდება მისი მახვილი მზერა. დგას ჯარისკაცი და გაჰყურებს მშობლიურ მინდვრებს, ხავერდოვან ჩაის პლანტაციებს, ზვრებსა და ბაღებს, მშვიდობიან სოფლებს...

ეს ჩვენი ძვირფასი თანასოფლელის **გრიგოლ სხულუხიას** ძეგლია. 25 წლის ბრგე ვაჟკაცმა წითელარმიელის ფარაჯა ჩაიცვა. გრიგოლი წინათ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე იყო. მერე თანასოფლელებმა კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. სიტყვაძუნწი, საქმის მოყვარული, ყურადღებიანი და სამართლიანი, — ასე იცნობდა სოფელი მას.

სამ წელზე მეტ ხანს უძღოდა კოლმეურნეობას გრიგოლ სხულუხია, მაგრამ... საავდრო ღრუბლები აიშალა დასავლეთის ცაზე... დაიწყო ომი. გრიგოლი ფრონტზეა. მალე გაზეთებმა შემზარავი ამბავი მოიტანეს, დაჭრილი გრიგოლ სხულუხია ტყვედ ჩაუგდიათ ფაშისტებს. ჰიტლერელები დიდხანს მხეცურად აწამებდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი ათქმევინეს საბჭოთა მზვერავს. შემდეგ ვაჟკაცის მკერდზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი ამოჭრეს. იგი კოცონში ჩააგდეს და ცოცხლივ დაწვეს.

გრიგოლ სხულუხიას ტანჯვის ამბავმა შურისძიებით აღაშოთა რუხელი კოლმეურნეები. მტრის ჯავრის საყრელად მეტ პროდუქტებსა და საჩუქრებს უგზავნიდნენ ფრონტს. გრიგოლის მეუღლე ქეთევანი მეჩაიეთა ბრიგადას ჩაუდგა სათავეში და ვაჟკაცური შემართებით უძღოდა მას. სოფლის თვალი გაიზარდა გმირის ქალიშვილი — ვიანარი. ის ცნობილი მეჩაიეა, მეთაურობს კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლს, არის კოლმეურნეობის ახალგაზრდობის წინამძღოლი. მას მამის მტკიცე ხასიათი აქვს. ასეც უნდა იყოს. ის გაიზარდა მამის მიწაზე, დაჰყვა სიმხურვალე მამის გულისა.

1957 წელს კოლმეურნეობის საერთო კრებაზე, როგორც ყოველთვის, თანასოფლელებმა გმირის ხსოვნას ფეხზე ადგომით ვეცით პატივი. იმ დღეს კრების გადაწყვეტილებაში ჩაიწერა: — „მოვითხოვთ, რომ კოლმეურნეობას სოფლის მკვიდრის, საბჭოთა კავშირის გმირის გრიგოლ სხულუხიას სახელი მიენიჭოს. კოლმეურნეობის თანხით აიგოს ძეგლი“ მადლიერმა მშრომელმა ხალხმა კიდევაც შეასრულა დანაპირები.

შ. ლოგუა,
ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის გრიგოლ სხულუხიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

გიორგი ლეონიძე

ᲨᲘᲜᲛᲝᲡᲣᲡᲚᲔᲚᲝ, ᲡᲐᲓᲐ ᲮᲐᲠ?

შინმოსულველო, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა,
სად ლხება შენი ჭოჭორი,
თვალი სად ამოგიღამდა?

თბილისში ვარდი აყვავდა,
შენ სად არჩიე დარჩენა?
ნეტავი წამოგახედა,
მთაწმინდა კიდევ გაჩენა.

შორი გამხდარა სავალი,
რამდენიც გინდა იარო:
აღარ ჩანხარ და ვერც მოხვალ,
მხედარო გულნატყვიარო!

პირს დაგრჩენია ღიმილი
სამშობლოს მოგონებისა,
კიდევ თუ გესმის მტკვარის ხმა,
გუგუნი ქართლის მთებისა?

მინდვრის შამბნარმა დასუდრა
შენი ობოლი საფლავი:
თმაგადაშლილი ჭალივით
დაგაბრწყინდება ვარსკვლავი!

დედის ცრემლების სანაცვლოდ
გასველებს ღამის ნაწვიმი,
ნაჭროლი საჭართველოდან,
ფრთას დაგაბერტყავს არწივი!

თვალში გვაკლიხარ, სადა ხარ,
შენ ხომ თბილისი გიყვარდა?
შენი ქართული მარჯვენა
სად ჩაიშალა თიხადა?

მიჰყავდი იერიშებზე
სამშობლოს, ვინც შენ დაგბადა.
დედის ლეჩაქს და ყრმის აკვანს,
საფლავებს მამაპაპათა.

ცეცხლით ნადუღარ გრიალში
დაეცი გმირი გულჩქარი
და ახლა ჩუმად შრიალებს
შენს სამარეზე ბუჩქნარი...

მაგრამ უეცრივ მაშხლები
ვარდისფრად აფეთქდებიან
და ქალაქები თავდახრით
შენს წინ სალამში დგებიან.

დაგბაასობენ გუგუნში
ალერსიანი მადლობით,
რომ დაუბრუნე სიცოცხლე
ნართმევი უსამართლობით.

სისხლით სიცოცხლის მიმცემი
სიკვდილის უბეს სცილდები,
გმირო, დამხსნელო, ჩვენს შორის
მზესავით განაწილდები, —

რომ უფრო მეტად ნათობდეს
შენი სამშობლოს დიდება.
მზე, გმირის ხმალზე მბრწყინავი,
არასდროს დაიბინდები!

ᲐᲛᲐᲦᲚᲕᲔᲒᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲨᲔᲛᲚᲝᲜᲘ სევასტოპოლისაკენ მიეშურებოდა. ეფრეიტორმა ვალიკო კოპალეიშვილმა შენიშნა ვაგონის კიბეზე ჩამოკიდებული ათი-თორმეტი წლის ბიჭი. გაჩერებაზე ვალიკომ იგი ვაგონში ამოიყვანა.

ვალოდია უზბეკოვს მამა ფრონტზე დაეღუპა, პატარა ბავშვი შურისძიების გრძნობას შეეპყრო და ფრონტისაკენ მიეშურებოდა. ვინ იცის, უპატრონოდ მოხეტიალეს რა ბედი ეწეოდა, რომ სამტრედიელი ვალიკო კოპალეიშვილი არ შეხვედროდა. მან თან წაიყვანა პატარა ვალოდია და ომის დამთავრებამდე გვერდიდან არ მოუშორებია, მამობას უწევდა. ისინი მხოლოდ 1945 წელს პრაღაში დაშორდნენ ერთმანეთს. მას შემდეგ მამობილმა და შვილობილმა ერთმანეთის არაფერი იცოდნენ.

...და აი ამას წინათ „პიონერსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა ვ. უზბეკოვის წერილი. ივი ეძებდა ქართველ მამობილს. ვალიკომ სწრაფად აფრინა დეპეშა და რამდენიმე ხნის შემდეგ ვალოდია ცოლ-შვილით სტუმრად ეწვია მამობილს.

გულითადი და ამაღელვებელი იყო მათი შეხვედრა.

ნ. მანჯგალაძე.

იხარე, ჭერო!

სოფელი არ ივიწყებს ზრუნვას შინმოუსვლელთა ოჯახებზე

◆

გახსოვთ 1941 წელი, გახსოვთ ქერჩი? თავგანწირული ბრძოლების ადგილი, სისხლით შეღებილი მიწა. ბევრი დაეცა აქ მამაცურ ბრძოლაში, ბევრმა ოჯახმა მიიღო უკანასკნელი წერილი ქერჩიდან... რა დაგავიწყებთ! ამბობენ, იარებს წლები აუყრებს, მაგრამ ნაიარევი ხომ სამუდამოდ რჩება! და თაობებს ეხსომებათ ქერჩში სისხლით დაწერილი ისტორია.

ნორიოელი გლეხიკაცი შალვა მამარდაშვილიც ქერჩში დაიღუპა, სოფელში დარჩა მიწური ქოხი, მეუღლე და ორი შვილი. ოცდახუთი წელი გავიდა მას შემდეგ. მიწას ებრძოდა ჯარისკაცის ქვრივი და ასე ზრდიდა წვრილშვილს, წლები, წვიმა და ქარი ებრძოდა მიწური ქოხის კედლებს და ერთ დღეს დაინგრა. სხვებმა შეიფარეს შინმოუსვლელი ჯარისკაცის ოჯახი, მაგრამ სოფელი არ ივიწყებს იმათ, ვინც თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაიღუპა. დატრიალდა მთელი ნორიო, მოხუცი და ახალგაზრდა, ქალი და კაცი. ზოგმა ბარი აიღო ხელში, ზოგმა ნიჩაბი. ზოგი ცემენტს ზელდა, ზოგი ხერხავდა. ჩაყარეს საძირკველი, წამოიმართა კედლები... განთიადისას მიდიოდნენ ნორიოელები სამუშაოდ მამარდაშვილების ფუძესთან და შინ გვიან ღამით ბრუნდებოდნენ.

სონა მამარდაშვილის გული სიხარულს ვერ იტევს. დაბნეული უტრიალებს სახლს, თვალებში შეჰყურებს მეზობლებს. თურმე რამხელა გული ჰქონია სოფელს, რა სიყვარული შეძლებიათ ამ დალოცვილ ადამიანებს. ეხ, შალვა, შენ რომ ერთი წუთით წამოგახედა, ვეღარ იცნობდი შენს ფუძეს. სახლის გზა აგერეოდა, ჩვენ ახლა სოფელმა სხვა ადგილას მოგვცა სამოსახლო, დიდი ოდა აგვიშენა, სანათლე და რადიო გამოგვიყვანა, წყალიც ეზოში გვაქვს. ღობეც ჩვენი ხელით უნდა გავაკეთოთო — ამბობენ, სულ ერთიანად შენს ეზოში ტრიალებს მთელი სოფელი, — ფიქრებით ესაუბრება სონა დაღუპულ მეუღლეს.

ნორიოში კი, სოფლის ცენტრში, ოდნავ ამაღლებულ ადგილას აშენდა ოროთახიანი ფართოაივნიანი ოდა, მამარდაშვილის კერაზე გაჩაღდა ცეცხლი, ცეცხლი, რომელიც სოფელმა არ ჩააქრო. დღეს ლოცავენ ახალ ფუძეზე ახალ მოსახლეს, აიღებენ ჭიქებს, შესვამენ ყოფილი ბრიგადირის, მშრომელი კაცის, ქერჩის ბრძოლის მონაწილის შესანდობარს, ნორიოს საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშის და შინმოუსვლელი ჯარისკაცის სიცოცხლის გამგრძელებლების მერისა და ჯემალის სადღეგრძელოს. იქნება სიმღერა, იქნება მრავალჟამიერი.

როგორ გითხრათ მადლობა, ახლა ამაზე ფიქრობს ჯარისკაცის ქვრივი, იქნებ ვერც გითხრათ, არ გაგიკვირდეთ. ისე დიდია ეს გრძნობა, რომ ვერ გამოითქმის. მაგრამ იცოდეთ, მადლობას გიძღვნით მამარდაშვილების ოჯახი, თქვენ, სოფლის თავკაცებო, უველას, უველას, ნორიოელო მშრომელებო, რომლებმაც არ დაივიწყეთ ომში დაღუპული მეზობელი. და განა მარტო მამარდაშვილების ოჯახი, მთელი საზოგადოება გიძღვნით მადლობას თქვენ, და უველას, ვინც არ ივიწყებს შინმოუსვლელთა ოჯახებს, ეხმარება მათ.

ბედნიერება თქვენ, თქვენს შვილებსა და შვილიშვილებს!

მ. მამულაძე.

გამარჯვების კარადი



თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, 1965 წლის 9 მაისს გამარჯვების დღის აღსანიშნავად გაიმართა თბილისის გარნიზონის ჯარების საზეიმო პარადი. მოდიან სამამულო ომის ვეტერანები (სურათზე ზემოთ) და გმირი პარტიზანები (სურათზე ქვემოთ).





უნივერსიტეტის ლექტორი

წიგნებსა და სურათებში თუ მინახავს ისინი. ერთ-ერთ მათგანს კი დღეს პირადად უნდა შევხვდე, ვესაუბრო, დავწერო მასზე.

ვღელავ.

ის ძალიან ახლოს არის ჩემგან. შემიძლია დავკაკუნო. გამოიხედავს, მაგრამ ხელს შევუშლი, დავუცდი, — გავიფიქრე.

კედელს იქით ეკონომიკისა და სტატისტიკის საკითხებზეა საუბარი. მარტო ერთი ხმა ისმის. საამური, მომზიდველი ხმა. სტუდენტები დიდი გულისყურით უსმენენ. იციან ნეტავ ლექტორის თავგადასავალი?

დაირეკა. ფიქრები დამეფანტა. პირველი ის გამოდის, ჯოჯოხეთიდან დაბრუნებული კაცი...

მერე სტუდენტები. დერეფანშიც გრძელდება პაექრობა საინტერესო საკითხზე. საკურსო დავალებები, გამოცდები. მეცნიერ კანტი-კუნტად გაზაფხულისა და სტუდენტობისათვის დამახასიათებელი სიტყვები.

ვუყურებ. სახეზე ნაიარევი არ ეტყობა. არც კოჭლობს... ვინც არ იცნობს, მის ბედს ინატრებს.

ბედი! რა სასაცილოდ ჟღერს ეს სიტყვა, როცა იცი, რომ არავითარი მსგავსი რამ არ არსებობს. დაჭრილი ჩავარდა ტყვედ, შემთხვევით გადაურჩა კაცი სიკვდილს.

თორემ, მილიონობით მსხვერპლთა მსგავსად, ისიც ფერფლად და ნაცრად იქცეოდა.

მაინც როგორ სიკვდილს უმზადებდნენ ახალ ჯოჯოხეთში?

— რაც ველურობაზე, ბარბაროსობაზე გამიგონია და წამიკითხავს, ჩემი თვალით ვნახე, — მიყვება ვლადიმერ ომიაძე.

— ტყვილად გაისარჯნენ ქრისტეს მოციქულნი, ვერც პოეტებმა და მხატვრებმა აღწერეს ჯოჯოხეთი სრულად, რადგან არ ენახათ, — მიამბობს ის.

ვაკვირდები მრავალტანჯული კაცის სახეს. თვალებზე ბინდი ეფინება სიკვდილის ფაბრიკის ხსენებაზე.

ბორგავს. ხმა უწყდება. ლანდებს მოუხმობს. ვინც ფენიქსებრ დაიფერფლა კრემატორიუმში, დაიწვა, მაგრამ უკვდავი დარჩა!

დაბაუ

გონება 23 წლით გარბის უკან...

— აუშტენ, აუშტენ! ადექით, ადექით! — ყეფენ ძაღლები, რომლებსაც ადამიანების ფორმა აქვთ.

ჯოჯოხეთი იღვიძებს. ლასლასით გამოდიან პოლიტიკური პატიმრები ჯურღმულებიდან. № 56831 ჩონჩხიც დგება.

— გალაქტიონ, ვარდენ, ბიჭებო! — უძახის თანამემამულეებს.

— ჰაუ, აააა — ძლივს უპასუხებენ ზებრა-ხალათებში გახვეული ადამიანები და ერთმანეთისაკენ მიიწევენ. ცოფიანი ქოფაკები დარაჯობენ მათ.

ჩანგალი — ელექტროდენსა და შანთებს.

ქვესკნელი — „ქვის ტომრებსა“ და გაზის კამერებს.

კუპრი — კრემატორიუმს.

ჭაჯები — ფაშისტებს შეუცვლიათ და შექმნილა ახალი ჯოჯოხეთი — დახაუ.

„თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დატოვეთ ყველა!“ — დანტეს „ჯოჯოხეთის“ სიტყვები ახსენდება ფაშისტური ჯოჯოხეთის ტყვე საბჭოთა ოფიცერს. სიკვდილს უცქერის თვალებში. დღეში ასჯერ გაუელვებს ფიქრი სამშობლოზე, ოჯახზე.

— დედა! — იტყვის ჩუმად ღა ცრემლად იფრქვევა.

ირგვლივ გმინვა, ყვირილი, ღმუილი, ტანჯვა გინება, მათრახების ტლაშუნი ისმის. აქ ტყვეებს ტროპიკული მალარიით აავადებს ჯალათი კლაუს შილინგი

კაცთმოძულე პროფესორი რეშერი 29 გრადუსამდე ყინავს და მაცივრებში ჩა ადამიანებს.

— მეცნიერებისათვის?!

მიურმელშტადტი და რამზაუერი ცელს უფატრავენ ტყვეებს.

— სს-ელთა ცვლამ საექიმო პრაქტ უნდა გაიაროს?!

ლანგი და კარში სულ ტყვეით სრ ლაში ვარჯიშობენ. თავში ან ყელში უნ მოარტყან უთუოდ.

— ტყვეი არ უნდა დაუზიანდეს ად მიანებს!

მერე, დაბადების დღეზე, ამ ტყვეებ გადაკრულ ალბომებს მიართმევს სს-ელ ობერშტატფიურერი თავის მეუღლეს. კი ლოყაზე აკოცებს და ეტყვის:

— ფიურერის ცოლიც არ დაიწუნებ ასეთ საჩუქარს!

გიმლერი, ბორმანი, ფრანკი, როზენ რვი... ჯოჯოხეთის მოციქულები თავს ე სტრიალებენ დახაუს. ეს ყველაფერი თი მითითებით და მონაწილეობით ჩა დება.

— პოლიტიკურ პატიმრებს გაუფრ ხილდით. მათ თავში წითელი ჭია დ რვა, — იძახის პიტლერი, სიკვდილ ფაბრიკის მთავარი შეფი.

და რკინიგზით განუწყვეტლად ში ყავთ ათასობით კაცი რუსეთიდან, პოლ ნეთიდან, იუგოსლავიიდან, საფრანგე დან...

დღედაღამ, მარტენივით მუშაობს კრ მატორიუმის 18 ღუმელი. დახაუს თა მუდამ შავი კვამლი დგას.

— ადამიანები ცუდად იწვიან!

— სული გვეხუთება! — ჩივიან ს ელები. გიმლერი ბრძანებს.

— მოუმატეთ ტემპერატურას!

სიკვდილის აჩრდილები დაეხეტებ დახაუ — ჯოჯოხეთში. ჯალათების ძ ძური ხელები შალვა სარაულის, მიხე ტარასოვის, 94 საბჭოთა მფრინავ თავზე იმართება.

შეუდრეკელი

ოზის დაწყებამდე ექვსი თვით ადრე 18 წლის ჯაბუკი სამხედრო კომისარიატში მივიდა და მოითხოვა მეთაურთა სკოლაში გაეგზავნათ. ბრძოლამ სკოლაში მოუსწრო.

1942 წლის ზაფხულში **შალვა ჩლაიძემ** წარმატებით დაამთავრა მეთაურთა სკოლა და სხვებთან ერთად გაიგზავნა 414-ე ქართულ მსროლელთა დივიზიაში, სადაც ოცეულის მეთაურად დანიშნეს.

მტერი გამმაგებით მოიწევდა კავკასიისაკენ. ქვეყანამ მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად დარაზმა. ბრძოლებში ჩაება 414-ე ქართული დივიზიაც. ამ ბრძოლებში ლეიტენანტმა შალვა ამბროსის-ძე ჩლაიძემ მამაცი მეთაურის სახელი მოიპოვა.

ქართულ დივიზიას, რომლის შემადგენლობაშიც შალვა ჩლაიძის ქვეგანაყოფი მოქმედებდა, ყველაზე დიდი ბრძოლები გადაიტანა სადგურ ოშჩორსკაიასა და მოზდოკის განთავისუფლებისას. აქ ფაშისტებს დიდი ხნის გამაგრებული პოზიციები ჰქონდათ. მებრძოლებს არ აშინებდათ არც ქვემეხების ცეცხლი და არც მტრის თვითმფრინავების თავდასხმა. მებრძოლები მამაცობაში მაგალითს ჩლაიძისაგან იღებდნენ. მამაცურად მიიწევდნენ წინ. ერთ-ერთ შეტაკებაში ჩლაიძე მკლავში დაიჭრა, მან უბრალოდ შეიხვია ჭრილობა და კვლავ ფეხდაფეხ მისდევდა მტერს. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი ვაჟკაცობით. ამავე ბრძოლის დროს შალვა მეორედ დაიჭრა. მიუხედავად ამისა, არც ეხლა დატოვა ბრძოლის ველი. მისი მიზანი იყო საბრძოლო ამოცანა ბოლომდე შეესრულებინა. ჰიტლერელები გაფთრებით უტევდნენ. შალვა ჩლაიძე მესამედ დაიჭრა. ამჯერად სასიკვდილოდ. იგი სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდე არ შემდრკალა — „წინ, მხოლოდ წინ, სამშობლოსათვის!“ — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

1942 წლის პირველ დეკემბერს ჩრდილოეთ კავკასიაში, მოზდოკის მისადგომებთან ბრძოლის ველზე დაეცა 19 წლის ლეიტენანტი შალვა ჩლაიძე და გმირული სიკვდილით უკვდავყო თავისი სახელი.

გმირის დედა

ფაშისტური ურჩხულის პირისპირ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის ხალხებმა ნამდვილი სულიერი სიდიადე და მგზნებარე პატრიოტიზმი გამოიჩინეს. საბჭოთა ადამიანები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ, რათა მტრისათვის არც ერთი გოჯი მიწა არ დაეთმოთ. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ გაიმარჯვებდნენ.

დიდი სამამულო ომის დამთავრების 20 წლისთავზე ხალხი იხსენებს შვილებს, რომლებმაც თავი დადეს სამშობლოს თავისუფლებისათვის, და დიდების შარავანდედით მოსავს მას. საწარმო -დაწესებულებებში, სასწავლებლებში გაიმართა გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი საღამოები.

თბილისის **№ 1** ავტოშემკეთებელი ქარხნის კლუბში შედგა ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის შეხვედრა დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან და გმირულად დაღუპული ვასილ პეტრეს-ძე პეტრიაშვილის ოჯახის წევრებთან. სიტყვებით გამოვიდნენ მისი თანამებრძოლები, მოიგონეს მისი ვაჟკაცობა.

— ის ნამდვილად ქართველი ვაჟკაცი იყო. არ იცოდა, რა იყო შიში. მას ბრძოლა სწყუროდა, ფაშისტების სისხლი სწყუროდა, ვიდრე თავის სამშობლოს თავისუფალს არ ნახავდა...

სცენაზე საპატიო სტუმართა შორის შავებიანი მოხუცი ქალი ზის. იგი ვასილის დედაა —**ნატალია პეტრიაშვილი**. თავი დაუხრია. ფიქრებით დაღუპულ შვილთან ტრიალებს. თითქოს გუშინ იყო, ომში რომ გააცილა. ახალგაზრდა მტკიცედ დაადგა გზას, რომელიც დილი ბრძოლისაკენ უხმობდა.

...თვალცრემლიანი დედაკი დიდხანს გასცქეროდა მიმავალს; რაღაცას ჩურჩულებდა, ლოცავდა. თან კიდევ წუეწვა-კრუნჯას უგზავნიდა გერმანელ ფაშისტებს... შემდეგ ომის დღეები, შვილის გმირულად დაღუპვის ცნობა... შავები...

მისი გოდება პროტესტია ყველა შავოსანი დედისა, რომელთა შვილებიც ფაშისტურ ურჩხულთან ბრძოლაში გმირულად დაღუპნენ, სამშობლოს შესწირეს თავი.

შვილფერი ხიდი

ცამ დაიტუსა.
და გადმოსკდა ცრემლები უხვად,
მეხი მუხთალი დაეხალა ხარხარით მუხას.
დაეცა მუხა
— ხეიბარი, მუხლმოტეხილი,
ეჭო დაიმსხვრა ხეებსა და ხევებს შეხლილი.
ცამ გადათელა
უამრავი ყვავილი ველად,
ციცინათელას მოუშალა ბალახის ბუდე.
ეჰ, რას ერჩოდა ცა უწყინარ ციცინათელას?
ციცინათელა ელვით ხომ ვერ დაასწვავდა ღრუბელს?
ცამ არ დაინდო პურის ყანა,
ბაღი და ბაღჩა,
ნასეტყვი ვაზი ობოლივით შიშველი დარჩა.
ხის კვნესამ შუბლი დაუღარა მინდორსაც, კლდესაც...
ხეობამ ხეთა ვაება და ცრემლები შესვა.
კვლავ გატყდა ელვა მახვილივით,
იქუხა მეხმა,
ხევს იქით რაღაც ნახირივით აბღავლდა ერთხმად.
მერე უცებად მზემ გამოყო დელგმიდან თავი,
მგლებივით დაფრთხნენ და გაიქცნენ ღრუბლები შავი,
მზემ ოქროს სხივი დედამიწას გაუბა სიმად,
მზემ ცხრა მთას იქით გადარეკა სეტყვა და წვიმა.
მზემ მთიდან მთაზე გადაშვილდა შვიდფერი ხიდი,
ლაჟვარდს დაშვენდა ჩვილი ბავშვის ღიმილი მშვიდი.
მიწის ღიმილად აბდღვრიალდა ვარდი და ია...
ბოლოს ჩამოდგა საოცარი დუმილის წუთი.
ცაში გაფრინდა ფიქრი, როგორც ფერადი ტყვია:
მე ჰომაგონდა ცხრა მაისი ორმოცდახუთის.

აკაკი გეწაძე.

არასოდეს დაივიწყეგს!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გადაწყვიტა გამოაქვეყნოს ნარკვევები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დიდ სამამულო ომში. როგორც ცნობილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები ჩვენი ქვეყნის სხვა ვაჟკაცებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დიდ სამამულო ომში და სხვადასხვა ფრონტებზე ანადგურებდნენ ფაშისტ დამპყრობლებს. ბევრი მათგანი მშვიდობიან კერას დაუბრუნდა, საყოველთაო-სახალხო მშენებლობის სხვადასხვა უბანზე მოღვაწეობს. ბევრმა ბრძოლაში თავი გამოიჩინა და გმირული სიკვდილით სამარადისო სიცოცხლე მოიპოვა. მშობლიური უნივერსიტეტი არასოდეს არ დაივიწყებს მათ სახელს!

ხედავ, როგორ ახრჩობენ თანამემამულეებს, უდანაშაულო ხალხს და შველა არ შეგიძლია!

ადამიანები ჯოჯოხეთშიაც არ ყრიან ფარ-ხმალს, 1943 წლიდან სიკვდილის ფაბრიკაში საბჭოთა ტყვეების იატაკქვეშეთა ორგანიზაცია მოქმედებს. ფინაელმდევრობის მონაწილენი მტრისთვის უიღავი ძაფებით არიან დაკავშირებული. მაღლდება პოლიტიკურ-მორალური სული.

ვიშნევსკი, მიხაილოვი, ცინცაძე, ნურიდდინოვი, ჩიქვანაია, მოლოკოვი, ჭეღიძე, პრაისი, სტოლიაროვი, წითლიძე, პანოვი, სიჭინავა... ინტერნაციონალური ბანაკი შურისსაძიებლად ემზადება!

1945 წლის 30 აპრილს ტყვეები ტიროლის მთებისკენ მიჰყავთ დასახვრეტად, ორგვლივ ოთხ წყებად მოდიან სს-ელები და ცოფიანი ქოფაკები. გიმლერის ბრძანება ძალაშია:

— არც ერთი ტყვე არ უნდა ჩაუვარდეს მოკავშირეებს!

...ტყვიამფრქვევთა ცეცხლქვეშ იცელებიან ადამიანები, იატაკქვეშელთა ხელმძღვანელობით ტყვეები გადადიან შეტევაზე. მათი უმეტესობა არღვევს სს-ელთა და ქოფაკთა რკალს.

თავისუფლება!

ათასობით ადამიანი ალპების ძირში დარჩა საუკუნოდ.

გამარჯვებამდე ცხრა დღეღა იყო დარჩენილი!

ჭრელი ხალათი

მაისი. თავისუფლების მოტრფიალეთა დაბადების დღე დადგა. ოცდათორმეტი ერის შვილები ჰკოცნიან, ეხვევიან ერთმანეთს. ტანზე იხდიან ზებრა-ხალათებს. ჩრდილ ყველაფერს, რასაც სიკვდილის ფაბრიკის ნიშან-წყალი აქვს. ხალათების, პერანგების, ქუდების, ხის ფეხსაცმლის... შარვლებზარი ზვინები დგება. განმათავისუფლებლები ბენზინს ასხამენ. სიკვდილის ზიზილები იწვის!

ომი მთავრდება. ხვალ, ზეგ გამარჯვების ზეიმია. ჩონჩხებადქცეულ ადამიანებს არ მოუწევთ იარაღის ტარება. ამით იურიან მტერზე ჯავრს. ამ ზვინებთან ერთად ფაშიზმს სწვავენ, კაცობრიობის დაუძინებელ მტერს, და ფიცს აძლევენ ერთმანეთს.

„ბრძოლას შევწყვეტთ მხოლოდ მაშინ, როცა უკანასკნელი ნაცისტი დამნაშავე წარსდგება ხალხის სამართლის წინაშე!“

ვლადიმერ ომიაძეს საოცარმა აზრმა გაუელვა:

— ყველაფერი დავკარგე, ყველა ნივთი წამართვეს: ფაშისტები მკვდრებს აგლეჯდნენ კბილებს. ცოცხლებს რას შეარჩენდნენ?!

— ტანსაცმელი შემომრჩა მხოლოდ ამ დღეების მოსაგონებლად, ისიც დავწვა? ვერ გაიმეტა...

• • •

ვლადიმერის სტუმარი ვარ. მასპინძელი სამუშაო ოთახში მეპატიჟება. საწერ მაგიდაზე მელანწეწურობმა თეთრმა ფურცლებმა და კალამმა წუთით შეისვენეს. იწერება მეოთხე წიგნი ეკონომიკის საკითხებზე. იქვე ბარათები და დეპეშები აწყვია. ფოსტას მოაქვს ისინი ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხიდან. მეორედ დაბადების ოცი წლისთავს უღოცავენ ვლადიმერ ომიაძეს.

მასპინძელს ვთხოვ მიჩვენოს ჭრელი ხალათი.

შემოაქვთ!

— არ ვიცოდი, თუ ასეთი მნიშვნელობა ექნებოდა ამ ხალათს! — ამბობს ვლადიმერის მეუღლე. მე პასუხს ვერ ვაძლევ. გრძნობა მეუფლება. ხელში ვიღებ სიკვდილის ფაბრიკის, ფაშიზმის ბრალმდებელ საბუთს... მკერდზე წითელ სამკუთხედთან ნომერი აწერია. წითელ სამკუთხედზე ჩვენი ქვეყნის პირველი ასოები ვარწერაა შარვლის მარცხენა ტოტზე. ორი წლის განმავლობაში კაცი № 56831 იყო!

სახის იარა კაცის გასაჭირს თვითონ იტყვის. სულისა — ქართულ სუფრაზე ამოხეთქავს. მაგრამ არის კიდევ რაღაც სხვა, რომელიც შენ გეკუთვნის, უფრო სწორად შენი ტანჯვა-წამების მოწმეა. მას პირველს ხვდებოდა როზგი... ჭრელი ხალათი!

იგი ერთადერთია მთელ საქართველოში. სათუთად ინახავს მას ქართველი ვაჟკაცი. რისთვის უნდა?

დასავლეთი გერმანია რევანშის გზას ადგას. ომის გაკვეთილები ოც წელიწადში დაივიწყა. დამნაშავეთა ამნისტიას ლამობს.

იმპერიალიზმის ბანაკი მუზარადებს იხურავს კონგოში, ვიეტნამში... სისხლი იღვრება.

მალე თბილისში ომის ვეტერანთა მუზეუმს გახსნიან. ჭრელმა ხალათმა ბრალმდებლის სიტყვა უნდა თქვას.

მასთან ერთად ყველა ჯურის იარაღი და სამხედრო ფორმა მუზეუმების საკუთრება უნდა გახდეს. მსოფლიოს მშვიდობა სწყურია! — ეს არის ფაშიზმის მსხვრპლთა ღაღადისი. მსოფლიოს ყველა კეთილი ადამიანის ხმა!

ოსვენციმი, ბუხენვალდი, რავენსბრუკი... დახაუ.

ომები, შიმშილი, სისხლი... არ უნდა გამეორდეს!

არსად და არასოდეს!

გ. მანია.

• • •

სურათებზე: მარცხნივ — ვლადიმერ ომიაძე; მარჯვნივ—დახაუს მსხვრპლნი...





გამარჯვების გაზაფხული

არაშემდგარი მატჩის ფინალი

1941 წლის 21 ივნისს ხაშურის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის გ. ტაბატაძის კაბინეტში სკოლის ფეხბურთელთა გუნდის წევრებს მოეყარათ თავი. საუბარი ეხებოდა ხვალინდელ ასპარეზობას. დირექტორი მატჩის მოგებას, შემდეგ კი — თასის მოპოვებას „ითხოვდა“. ამავე მიზნით იყვნენ ანთებული ჭაბუკი სპორტსმენებიც. ხაშურელი მოსწავლეები საქართველოს მოსწავლეთა პირველობის მეოთხედფინალურ მატჩში ზესტაფონის ფეხბურთელებს ხვდებოდნენ...

გვიანობამდე არ ჩამქრალა სინათლე დირექტორის კაბინეტში, აწყობდნენ საბრძოლო გეგმებს. მაგრამ რა იცოდნენ, რომ იმ ღამეს გერმანელ ფაშისტთა ხროვა თავს დაესხმოდა ჩვენს ქვეყანას, რომ სულ სხვა საბრძოლო გეგმების დღეები დაიწყებოდა და მათაც ფეხბურთის მოედნის ნაცვლად ბრძოლის ველზე მოუხდებოდათ გასვლა.

მეორე დღეს, 22 ივნისს, სპორტული მაისურები კი არა, სამხედრო გიმნასტიორები ჩაიცვეს მოსწავლე – სპორტსმენებმა — ი. ბითაძემ, ი. ფერაძემ, მ. დეკანოიძემ, გ. თედიაშვილმა, ს. კილაბერიძემ, პ. პაპიაშვილმა, ვ. დანელიანმა და მრავალმა სხვამ. ისინი მკერდით აღუდგნენ გერმანელ აგრესორებს. ბევრი მათგანი ვაჟკაცურ ბრძოლაში დაეცა, მაგრამ გმირული ძეგლიც დაიდგა სამარადისოდ.

...ამას წინათ ხაშურის პირველი სკოლის დარბაზში თავი მოიყარეს მისმა აღზრდილებმა, მოიგონეს ომის წლებში ამ დარბაზში ნათქვამი სიტყვები, აქ გაკაჟდით, აქედან მივდივართ [illegible] შობლოს დასაცავად და გამარჯვებასაც აქ [illegible] იმებთო!

აქ გამართულ [illegible] ბაზე, 35 ქალმა და [illegible]

—ამ სკოლადამთავრებულებმა გადაწყვიტეს შენობის კედელზე [illegible] რას მემორიალური [illegible] ფა — 24 წლის [illegible] არშემდგარი მატჩის [illegible] ნაწილეთა და მტე[illegible] გაატრებულ ბრძოლებში დაღუპულთა სურათები მათი მოკლე ბიოგრაფიებით.

ეს კი ყველა [illegible] ტულ ნადავლზე, ყველაზე თასზე უფრო ფასი რელიკვია იქნება.

ვ. ჩიქოვანი.

გამოფენა მოგვითხრობს

მეჯვრისხეველმა მწრომელებმა ანასტასია [illegible] თავ-ხოშტარიას სახელობის მუზეუმში მოაწყეს [illegible] მამულო ომის მეჯვრისხეველ გმირთა სტენდი, სადაც ფართოდ არის ასახული საბჭოთა კავშირის გმირ პოლკოვნიკ ბორის ზუმბულიძის, პოდპოლკოვნიკ ილია ალხაზაშვილის, ლეიტენანტ შალვა სარაულ ზემდეგ ფირან გოგიაშვილის, უფროს ზემდეგ [illegible] ოზ ლოლაძის და სხვა შინმოუსვლელთა საბრძოლო ბიოგრაფია.

საიუბილეო მარკები

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრომ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღეს მიუძღვნა ათმარკიანი სერია.

პირველ მარკაზე ასახულია მახვილი, რომელიც ჩეხს ფაშისტურ სვასტიკას. მარჯვენა მხარეს (ქვევით) საბჭოთა მეომრებს იერიში მიაქვთ ფაშიზმის ბუნაგზე — რაიხსტაგზე. კომპოზიციის ცენტრია წითელი დროშა.

სერიის შემდგომი რვა მარკა — ეს თავისებური სურათების გალერეაა იმ ნამუშევრებისა, რომლებიც ცნობილი იყო მეორე მსოფლიო ომის წლებში: ირაკლი თოიძის „დედა-სამშობლო გვიხმობს“, ვლადიმერ ბოგალკინის „მოსკოვის მისადგომებზე“, სერგეი გერასიმოვის „პარტიზანის დედა“, იური ნეპრინცევის „დასვენება ბრძოლის შემდეგ“, ვიქტორ ივანოვის „ჩვენი დროშა გამარჯვების დროშაა“, თევდორე ბოგატკინის „დიდება დაღუპულ გმირებს“, ვიქტორ კორეცკის „ზურგი — ფრონტს“, კონსტანტინე იუონის „გამარჯვების სალუტი წითელ მოედანზე“.

უკანასკნელი — მეათე მარკა მიძღვნილია მშვიდობის საგუშაგოზე მდგომი საბჭოთა შეიარაღებული ძალებისადმი.

მარკების გაფორმებისა და ორი ნახატის ავტორია მხატვარი ევგენი ანისკინი.

სიკვდილი სახელოვანი

მიმდინარე წლის ოქტომბერში საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში თავს მოიყრიან კურსდამთავრებულნი, რომლებიც 25 წელია დაშორდნენ ერთმანეთს. ისინი ინსტიტუტის დამთავრებიდან მეოთხედი საუკუნის შესრულებას აღნიშნავენ. ტრიბუნაზე შემდგარი ჯგუფხელი დრო-ჟამისაგან გაყვითლებულ ჟურნალში 25 წლის წინ დაწერილ გვარებს ამოიკითხავს და დარბაზში გაისმება სხვადასხვა ხმით ნათქვამი: „ვარ!“

მაგრამ ამ შეხვედრის ორგანიზატორები ახლავე გრძნობენ, თუ რა განწყობა გამეფდება დარბაზში, როცა ჯგუფხელი ვასილ მაჭარაძის გვარს ამოიკითხავს. რიხიანი პასუხის ნაცვლად დარბაზში დუმილი დაისადგურებს და ოთხმოცამდე კურსდამთავრებული ფეხზე წამოდგება, რათა პატივი სცენ სტუდენტობის დროინდელი მეგობრის ხსოვნას.

ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის სტოპერი ვასილ მაჭარაძე ომის დაწყებისთანავე მოხალისედ წავიდა ფრონტზე. „არ იდარდო, — ამხნევებდა დედას ფრონტიდან გამოგზავნილი წერილით, — ჩემი ბუცები არ დამიკარგო. გამარჯვების შემდეგ გამომადგება“...

ვერ მოესწრო ზეიმს.

„თქვენი შვილი, — სწერდნენ ვასილის დედას ელენეს ნაწილიდან, — სამშობლოსათვის ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა. 1942 წლის 1 დეკემბერს ჰოსპიტალში გაგზავნეს. მისი მისამართი ჩვენთვის უცნობია“.

ვასილის მეგობრებმა კი იციან, რომ იგი ჰოსპიტალამდე ვეღარ მიიყვანეს მზვერავმა თანამებრძოლებმა; ისინი გერმანელთა დაჯგუფებას წააწყდნენ და ტყვედ ჩავარდნას უთანასწორო ბრძოლაში გმირული სიკვდილი არჩიეს. მათთან ერთად დაიღუპა ვასილიც.

დედას კი, დედას არა სურს დაიჯეროს შვილის სიკვდილი. იგი კვლავ სათუთად ინახავს შვილის დანატოვარ ბუცებს.

ვ. გვარამაძე.



ეს არ უნდა განმეორდეს!..

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50,59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი ბისამართი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.